№ 64 მარტი 24, სამშაბათი 1892 მარტი 24, სამშაბათი № 64

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთი „ივერია" მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 25 მარტს,

ქართულ დრამატიულ დასის მიერ მ. საფაროვას თაოსნობით წარმოდგენილი იქნება

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით

მეორედ ახალი პიესა:

ქართველი დედა

ისტორ. დრამა 5 მოქმედ., გადმოკეთ. ავ. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, გამრეკელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებს კუპონები ლოჟაში 50 კაპ. დაეთმობათ.

დასაწყისი 8 საათზედ.

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა

პირველი ტომი

(ლექსები და პოემები)

ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ფასი 1 მ. 20 კ.

ამხანაგობის აგენტებს გაეგზავნებათ 26 მარტს.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, კვირას, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ორი ობოლი". წარმოდგენამ საკმაოდ კარგად ჩაიარა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, რომელიც მშვენივრად ასრულებს ქ-ნ ფრომშარის როლს. ამას გარდა, იმავ საღამოს მონაწილეობას იღებდნენ ორი ახალგაზდა ქალი, რომელთაც ურიგოდ არ შეასრულეს თავიანთი როლები, მეტადრე ქ-ნმა მანდენოვისამ. საზოგადოებამ ბევრჯელ გამოიწვია არტისტები, ქ-ნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა და ახალგაზდა დებიუტანტი ქალი და ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი და სვიმონიძე. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

⁂ 22 მარტს ტფილისში პოლიციის მესამე განყოფილების ბოქაულის თანაშემწემ გედევანოვმა დააპატიმრა მცხეთიდგან გამოპარული 16 წლის ყმაწვილი ბიჭი, დიმიტრი სოფრონოვი. ეს სოფრონოვი, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, 12 წლიდგან ავაზაკების მოსამსახურედ ყოფილა ვიატსკის გუბერნიის მდ. კამასთან. ტყეში სცხოვრობდნენ თურმე ოთხს წელიწადს და ეს საჭმელებს უხარშავდა ავაზაკებს. ერთს დღეს უნახავს, რომ ერთს ავაზაკთაგანს წაღაში ფულები ჰქონია, მძინარესათვის გაუჭრია წაღა, ამოუცლია ფული და კავკასიაში გამოქცეულა. გზაზედ ფული, რაკი ძველი ოც-და-ხუთიანები ყოფილა და ვერ დაუხურდავებია, ოცის თუმნისა გადაუყრია ტყეში. ჩამოსულა მცხეთაში და აქ მჭედელთან დამდგარა. დარჩენილი ფული-კი მცხეთიდგან ერთის ვერსის მოშორებით ხელსახოცში გამოკრული გორაზედ დაუფლავს. ბოლოს ერთს ჟანდარმს გამოსტეხია, ფულები მაქვს, დაახურდავე და შენც გიწილადებო. 20 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ორივენი ასულან გორაზედ, გადაუცია ჟანდარმისათვის ფული, მაგრამ ჟანდარმს იქავე უარი უთქვამს, ეს ფული ჩემიაო. ბიჭს უშველებელ ქვისათვის წამოუვლია ხელი, უთხლეშნია თავში უკანიდგან ჟანდარმისათვის, იქავე წაუქცევია და ტფილისში გამოქცეულა ფეხით. გუშინ, 23 მარტს, სოფრონოვი უკვე გაგზავნეს საპატიმროში.

⁂ გუშინ, 23 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზედ, პოლიციამ ორბელიანის პატარა ქუჩაზედ კიდევ მიაგნო ფარულს თოფებს. პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულის თანაშემწემ ბ-ნმა გედევანოვმა და მერვე ნაწილის ბოქაულმა გაჩხრიკეს მეთოფე ალოიანცის მაღაზია და დიდ-ძალი თოფები, თოფის მოწყობილობა, ტყვია-წამალი და რევოლვერი იპოვნეს. ალოიანცს თავისს დუქანში სულ რომ ვერ შეენახა, გაეტანა გვერდზედ მეზობელ მეწვრილმანეს დუქნის უკანა ოთახში და იქ მაკარონის ყუთების ქვეშ დაეწყო თოფით სავსე შეკრული ყუთები. ამას გარდა, მთელი დავთრები იპოვნეს, რომელშიაც მოხსენებულია, ვისთან უგზავნიათ თოფები, რა საშუალებით და საიდგან უყიდნიათ ხოლმე ბერდანკის სისტემის აღკრძალული თოფები. ალოიანცი და მისი ამხანაგი კატანიანცი ორივენი დაპატიმრებულნი არიან. ნაპოვნი თოფები-კი დაბეჭდეს და პოლიციის მერვე განყოფილებაში გაგზავნეს.

⁂ ხვალ, საღამოს რვა საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო საღამო.

⁂ როგორც ქალაქის ბეითალთა ანგარიშიდგანა სჩანს, მარგარინს ჰყიდიან თურმე უფრო კუკიის მედუქნეები და ერბოს მაგივრად ასაღებენ. ბეითალმა ბ-ნმა სტეფანოვმა ყველა მედუქნეს დაუარა და გააფრთხილა, რომ აღარ მოატყუონ მსყიდველნი, თორემ დღეის იქით სამართალში მისცემენ ყველას, ვინც ერბოს მაგიერ მარგარინს მიჰყიდის ხალხსა, და სასჯელიც გარდაჰხდებათ. ამასთანავე, ბ-ნმა სტეფანოვმა გამოუცხადა ყველას, ვინც-კი საღდგომოდ ღორსა და ძეხვს ამზადებს, რომ გაფრთხილდნენ ₰ ავადმყოფი ღორის ხორცი არა ჰყიდონ. ამ ხორაგეულობათა პატრონებს მიაქვთ თავიანთი საქონელი საქალაქო ლაბორატორიაში, რომელიც ამოწმებს და უვარგისებსა ჰყრის.

⁂ ერთი საშინელი კორიანტელი ადგა 23 მარტს, დილის 9 საათზედ, თათრის მოედანზე. თურმე ამ დროს მეიდანსა ჰკვიდნენ ქალაქის მუშები ₰ ქარის გამო მტვერი სულ დუქნებს ედებოდა. დუქნის კარები ღია აქვთ, ხორცეულობა, სამარხო საჭმელები და წნილეულობა გამოშლილია და ეს მტვერი სულ ზედ ედება. კარგს იზამს ქალაქის გამგეობა, რომ დამგველები გაჰგზავნოს ხოლმე ან დილით ძალიან ადრე, როდესაც ჯერ მუშტარი არა ტრიალებს მოედანში და არც დუქნებშია გამოკიდული საქონელი, ან სადილთ უკან, როცა ვაჭრობა შესუსტდება ხოლმე.

⁂ ქალაქის მილის წყალსა და ყორღანოვისას შარშან შემოუტანია შემოსავალი სულ 146.332 მანეთი და 38 კაპ., ხოლო ხარჯი ჰქონია: მილის წყალის გაძღოლისათვის 66.882 მ. და 46 კაპ., მეორე ვალის წლიურ გარდასახადისათვის 63.983 მ., სულ 130.865 მ. და 45 კ. მაშასადამე, ნაღდი მოგება დარჩენია ქალაქის კასსას მილის წყალისაგან 15.466 მანეთი და 93 კაპეიკი.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ზ. ჭ—ძისაგან დაბეჭდილი ახალი ქართული წიგნი „ვახტანგ ორბელიანი" (სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები). წიგნის ყდაზედ დაბეჭდილია სურათი პოეტისა, ხოლო თვით წიგნში მოთავსებულია მისი ბიოგრაფია. ფასი წიგნისა ერთი აბაზია.

⁂ ბ-ნი ალ. როინაშვილი უსასყიდლოდ უგზავნის ამ დღეებში კავკავის ქართველთა სკოლას მისის დამაარსებელის განსვენებულ მ. ზ. ყიფიანის დიდს სურათს ჩარჩოთი, ჩინებულად მომზადებულს თავის ფოტოგრაფიაში.

⁂ შაბათს, ამ თთვის 21, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში კრება იყო კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა. კრებამ მოისმინა რეფერატი საზოგადოების თავმჯდომარის ბიკოვისა: „რა გავლენა აქვს ჰიპნოტიზურს შთაგონებას დანაშაულობაზედ". რეფერენტს აზრადა ჰქონდა დაემტკიცებინა შემდეგი: 1) დანაშაულობის დასჯა საჭიროა, რადგანაც ამ დასჯას თვით საზოგადოება თხოულობს თავისის არ-

ფელეტონი

ჩვენი მთის ხალხი

სახიბლიოგრაფიო წერილი

თხზულებანი ალექსანდრე ყაზბეგისა. სამი ტომი. ტფილისი, 1891 წ.

III

პირველ წიგნში, „ელგუჯას" გარდა, დაბეჭდილია კიდევ ორი პატარა მოთხრობა—„ციკო" და „ელისო". ამათს ხელოვნურს მშვენებაზედ ჩვენ არას ვიტყვით. მათის ხელოვნურ ღირსებათა გამრჩეველს და დამფასებელს უნდა ჰქონდეს ათჯერ მომეტებული ცოდნა მსოფლიო ხელოვნურის ლიტერატურისა, ვიდრე შეიარაღებული გახლავთ თქვენი უმორჩილესი მონა. უნდა-კი გულწრფელად ვაღიაროთ, რომ იშვიათი ნაწერი შეგვხვედრია ასე ჩინებულად დასურათებული, როგორც საზოგადოდ ყაზბეგის ნაწერებია დასურათებული, და ძალიან და ძალიან იშვიათადაც აღგვბეჭდებათ მეხსიერებაში ისე ღრმად, როგორც ამ საკვირველის მწერლის სურათები. ასეთი განსაკუთრებული ძალა აქვს ყაზბეგის მხატვრობას მარტო მაშინ-კი არა, როდესაც იგი აღგიწერთ რომელსამე არა-ჩვეულებრივს უბედურებას კაცთა ცხოვრებისას, არამედ მაშინაც-კი, როდესაც საგნად აუღია, ერთის შეხედვით, უმნიშვნელო ამბავი. აი ნიმუშიც:

> გუგუა გაჰქონდა ნარიანის ჩონჩხებში სწორედ იმ დროს, როდესაც ამაყად ამართულს გათეთრებულს ყინვარს მზის უკანასკნელ სხივების გვირგვინი დაედგა და თავის სიმაღლიდგან სიამაყით გადმოსცქეროდა გამხეცებულს თერგს. თერგიც ათას ნაპრალებს ისროდა ქვიდგან ქვაზედ, ჰქაფდებოდა, იკრებოდა ბურთსავით, განიბნეოდა წვრილს ნამად და გამაცოცხლებელს ფარდასტად ედებოდა ყხოსიერს, საკვრდის მგზავსს, ნაზის ფერადით აჭრელებულს ბალახიანს კლდეებს,—გაჰქონდა რაღაც მედიდური, თითქოს ერთ-ხმად გადაქცეული გრიალი, რომელიც ხან ამაღლდებოდა და ემსგავსებოდა გამძვინვარებულის ლომის ხმას, ხან შეუვარებულის ნაზ ჩურჩულად გარდიქცეოდა, იმისდა გვარად, თუ ქარი საიდგან და რა ძალით დაჰბერავდა, რა რიგად დატრიალდებოდა ხევებს და უსწორ-მასწორო მთებში. ეს იყო რაღაც ამაყი, მედიდური ხმა, გათამამებული ღრიალი,—ღრიალი, რომელშიაც გამოისმოდა ათას გვარი დამუქარებელი და გულის აღმძრავი ნაზი ხმები.
>
> გუგუა, დაურდნობილი თავის თოფზედ, მოხიბლული მშვენიერის სურათებით და ნეტარების აღმძვრელის ხმებით, გაჰყურებდა მთებს, სტკბებოდა და ნაზს, მარტო მთის ხალხისაგან ნაგრძნობს, ნებიერებას ეძლეოდა.
>
> ის ამ გატაცებაში იყო, როდესაც ცის ტატნობაზედ, ერთ ფიწალო კლდის წვერზედ, გამოჩნდა „ხარ-ღალი" (მამალი ჯიხვი), რომელიც იქამდის გადმოიზნიქა კლდეზედ, რომ კაცი იფიქრებდა გადმოვარდნას აპირებსო. მაგრამ პატიოსანი პირუტყვი თითქოს ერთბაშად გაქვავებული დარჩა და შუბლი მიუშვირა გამაგრილებელს ნიავს. შეუჩვეველს თვალს ის, უეჭველია, ქვისაგან გამოკვეთებული ეგონებოდა, ისე გაუნძრევლად და გადმოხრილი იდგა. ცოტა ხანს შემდეგ წყნარად გაიქნია თავი, გადახტა მეორე კლდის კენწეროზედ და ხელის გულის ოდენა ადგილზედ ოთხივე ფეხი ერთად მიტანილი შედგა. იქიდგან გადმოჰხტა მესამეზედ, მეოთხეზედ და ამ გვარად დაიწყო კარჯიშობა იმ მარტო შესახედადაც გულის გამხეთქს კლდეებზედ, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა თავის სიმარდე და ფეხის ძარღვების სიმაგრე...
>
> ნისლი, რომელიც წყნარად მიცურავდა მთის წვერზედ, მიუახლოვდა ჯიხვს და ნახვრად გაჰხვია შიგ. პირუტყვს ეტყობოდა, რომ იმას ასიამოვნებდა გრილი, ნოტიო ნიავი, რომელიც ნისლის აუცილებელი თანამგზავრია, და ამის გამო სიამოვნებით იწვდიდა კისერს და აგებებდა თავს მომავალს ნისლს. გუგუამ გადუშვირა თოფი, მაგრამ შეენანა პირუტყვი, რადგანაც არ უნდოდა სიამოვნება მოეკლა იმისთვის. მაგრამ დაჰბერა ქარმა და თეთრის, გაშენტილის ბამბასავით ნისლი საჩქაროდ წამოვიდა. მოხუცს შეეშინდა, რომ ნისლი ჯიხვს არ გადაეფარებოდა და ამისთანა ხარ-ღალი ხელიდგან არ გამოეცალა. გავარდა თოფი, შეჰხტა ჯიხვი და რამდენჯერმე გადატრიალდა ჰაერში, გადავარდა კლდეზედ და ჩაიჭედა ქვების შუა, ხევში („ციკო", 277—280).

ვინ მოსთვლის ამისთანა ჩინებულ სურათებს ყაზბეგის ნაწერებში. ჩვენ მოვიყვანეთ ეს ადგილი მხოლოდ ნიმუშად მისის მხატვრობითის აღწერისა. დაფასება-კი ყაზბეგის ხელოვნურის ნიჭიერებისა მიგვინდვია უფრო მცოდნე კაცებისათვის. ჩვენ საგნად ავიღეთ მხოლოდ ის, რომ გამოვარკვიოთ, რომელი მოთხრობა რა აზრითა აქვს დაწერილი ჩვენს ბელეტრისტს. „ელგუჯაში" ვნახეთ, რომ ავტორმა დაგვიხატა მთის ხალხი იმ დროისა, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს. გვაჩვენა, რა განსაცდელში იყო მაშინ მთის სამოქალაქო და საპოლიტიკო დაწესებულებანი, როგორ შეირყა თემობა, რომელიც ასულდგმულებდა მთის ხალხს.

მოთხრობა „ციკო" შეეხება იმ

სებობის დასაცველად. მაშასადამე, თვით კაცის ბუნებავე მოითხოვს ამ დასჯას დანაშაულობისას; 2) თუ დანაშაულობა ჩადენილია ჰიპნოზის დროს, ბრალდებული არ უნდა დაისაჯოს, რადგანაც შთაგონებულს შეგნება არა აქვს და მისი გონება არა მუშაობს; შთაგონებულმა დამნაშავემ არ იცის, არც ესმის და არცა ჰგრძნობს, რასა სჩადის და რას აკეთებს; 3) თუ დანაშაულობა მოხდა ჰიპნოზის შემდეგ, ესე იგი სიფხიზლეში, ბრალდებული დასჯილ უნდა იქმნას. ამ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება მიიღოს მხვედველობაში მხოლოდ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება; 4) ექსპერტს (ამ შემთხვევაში ექიმს), რომელსაც სასამართლო იწვევს, რათა განიხილოს ბრალდებულის სულის მდგომარეობა, ნება არ უნდა ჰქონდეს წარმოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, რომ მის მიერ გასინჯული და განხილული ბრალდებული დასჯილ უნდა იქმნას, თუ არაო. განაჩენის დადგენა მსაჯულის საქმეა და არა ექიმისაო, დაამთავრა რეფერენტმა. რეფერატის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხუთმა კაცმა, სხვათა შორის ექიმმა ბაბაევმა და ხუდადოვმა. კრება $10^1/_2$ საათზედ დაიშალა.

⁂ გუშინ-წინ, 21 მარტს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ, გურგენოვის სახლში, თერძმა კრეისმანმა რევოლვერით თავი მოიკლა. გვამი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. კრეისმანმა ბარათი დასტოვა, რომელშიაც სწერს, აგერ 46 წელიწადი გულ-მოდგინედ ვმუშაობ, მაგრამ არ იქნა, სიღარიბეს და გაჭირვებას თავი ვერ დავაღწიე და ამიტომ სიკვდილი ვარჩიეო.

⁂ 22 მარტს ტფილისში დეპეშა მოვიდა პეტერბურგიდგან, რომ პოდპოლკოვნიკს ფირადოვს ციმბირში გაგზავნა რთხის თვით ციხეში დაპატიმრებად შეუცვალესო.

⁂ 12 მარტს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრება სხვათა შორის განიხილავს: 1) ბანკის გამგეობის მოხსენებას ქ. ბათუმსა და ბაქოში სააგენტოების გამართვის შესახებ; 2) გამგეობისავე მოხსენებას შესახებ იმისა, რომ გამგეობას მეოთხე წევრიც მიემატოს; 3) მოხსენებას, რომ შეღავათი მიეცეს უბედურ შემთხვევის გამო დაზარალებულ მსესხებლებს, და 4) პროექტს მამულების დაფასების ინსტრუქციისას.

⁂ 17 მარტს პეტერბურგში პროფესორს თარხნიშვილს წაუკითხავს რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ ლექცია: „როგორ მოქმედობს მუსიკა ადამიანის აგებულებაზედ“.

⁂ ამიერ-კავკასიაში უკვე დააწესეს სახელმწიფო ხარჯთ აკრების ინსპექტორები. როგორც გაზეთ „Нов. Обоз“-ს შეუტყვია, ტფილისის სახელმწიფო პალატის ოლქში 12 ინსპექტორი იქნება დანიშნული. ამბობენ, რომ ტფილისის ინსპექტორად სახელმწიფო პალატის განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე ბ-ნი ყორღანოვი იქნება დანიშნულიო.

⁂ ქუთაისი: გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ ქუთაისიდგან, რომ იქ ქალაქის მოურავის არჩევანების გამო ხელ-ახლად ატეხილა დავიდარაბა. ამ დღეებში ბ-ნს ლოლუას ერთს მომხრეს (?) ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსთვის საჩივარი მიურთმევია და ამტკიცებს, რომ ბ-ნ ლოლუას ამორჩევა უკანონო არისო.

⁂ სომეხთა საქველ-მოქმედო კავკასიის საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა, რომ იმ ყმაწვილ-კაცთაგან, რომელთაც ეჩმიაძინის აკადემიაში სწავლა დაამთავრეს, ერთ-ერთი ევროპაში გაჰგზავნოს ღვთის მეტყველებისა, ისტორიისა და ფილოლოგიის შესასწავლად და წელიწადში 600 მანათი სტიპენდია დაუნიშნოს. მსურველთ შეუძლიათ საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭოს თხოვნით მიჰმართონ 20 აპრილამდე („მშაკი“).

⁂ ზუგდიდი: გაზეთ «Нов. Обоз.»-ს სწერენ ზუგდიდიდგან, რომ აქ 18 მარტს ერთმა აზნაურიშვილმა (გვარი არ არის მოხსენებული) სამი მკვლელობა ჩაიდინაო. მ. ნიკოლაძეს ცოლის ძმას, ალექსანდრე ჭედიას, ამ აზნაურიშვილისთვის ყმაწვილი მიუბარებია გასაზრდელად. რაღაც მიზეზის გამო, ჭედიას ყმაწვილი ისევ გამოურთმევია აზნაურიშვილის ცოლისათვის და სხვა ძიძისთვის მიუბარებია. აზნაურიშვილს ეს საშინელ შეურაცხებად მიუღია და სამივე მოუკლავს: ჭედიაც, თავისი ცოლიცა და ახალი ძიძაც.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ არდანუჯიდგან: «ამას წინად არდანუჯის მახლობლად სოფ. ხოროულში კინაღამ უბედურება არ დატრიალდა. ამ ერთის წლის წინად ამ სოფლის მცხოვრებმა ასლან ტორუნ-ოღლიმ იმავე სოფლის მცხოვრებს, აჰმედ-ეფენდის სთხოვა, შენი ქალი მომათხოვეო. ეფენდიმ უარი უთხრა და თანაც დასძინა, თქვენი ცოლ-ქმრობა შეუძლებელია, რადგან ერთი ძუძუთი ხართ გაზრდილიო. ასლანს ძალით უნდა მოეტაცნა თავის სატრფო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ამ ორის კვირის წინად ასლანმა შეიტყო, რომ ჩემი სატრფო სხვას უნდა მიათხოვონო. წამოიყვანა თავისი ძმა და დღისით დაეცა იარაღით ხელში ეფენდის სახლს, ქალის მოსატაცებლად. ეფენდის მეზობლები მიეშველნენ. როცა ასლან ტორუნ-ოღლიმ შეატყო, რომ ქალის გატაცება შეუძლებელია, ხანჯალი ამოიძრო და თავის სატრფო უნდოდა მოეკლა, მაგრამ ხალხი წაესარჩლა და ეს განზრახვა ვერ შეასრულა. ქალი მხოლოდ მკლავში დაიჭრა სუმბუქად. ასლანი მაშინვე გაიქცა და ჯერაც ვერ უპოვნიათ. საქმე გამომძიებელს გადასცეს».

◆

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ტრაფიმე ინასარიძე აღსტაფის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელედ.

გადაყვანილ იქმნა ოჩემჩირეს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ვასილ შალიბოვი გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და აბასთუმნის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე იოსებ ტატიშვილი—ტფილისის კანტორაში.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. მუხურა (შორაპნის მაზრა). ძვირად შეჰხვდებით იმისთანა ქართველს, რომელიც ეხლანდელს ჩვენ, მდგომარეობას კეთილდღეობადა სთვლიდეს. პირ-იქით, თითქმის ყველა ჰგრძნობს, რომ ჩვენი ქვეყანა ამ ჟამად მრავლის მხრით და მრავლის გზით დიდად დაქვეითებულია. თუ ეს ასეა, მაშინ ესევე ითქმის ჩვენს სოფელზედაც, მაგრამ მუხთალმა ბედმა ჩვენს სოფლელებს ეს საზოგადო დაქვეითება არ აკმარა და ამ საზოგადო ნაკლთან კიდევ სხვაც ბევრი გაჭირვება შეახვედრა. აი საქმე რაშია: მუხურაში ხუთასამდე კომლი გლეხია და იმათში უმრავლესობა დროებით ვალდებული გლეხები არიან ალექსანდრე იაკობის ძის ზუბალაშვილისა. გლეხები დიდის ხნობით იყვნენ მოწადინებულნი, რომ ზუბალაშვილისაგან თავი დაეხსნათ და ადგილ-მამულები შეესყიდნათ, მაგრამ ბ-ნი ზუბალაშვილი ძლიერ უარობდა ამ საქმეს. ბოლოს, თითქოს გლეხებს ბედმა გაუღიმაო, ამ ორი-სამის წლის წინად ბ-ნმა ზუბალაშვილმა სურვილი გამოაცხადა და ნება დართო, რომ გლეხებს ადგილ-მამული შეესყიდნათ, და ფულის რაოდენობაც აღნიშნა, ვის რამდენი უნდა გადაეხადა. საჭირო ქაღალდები დასწერეს. გლეხებს თავთავისი ხვედრი ფული პირობაში აღნიშნულ დრომდე უნდა შეეტანათ ბანკში (ქ. ქუთაისში) ალ. ზუბალაშვილის სახელობაზედ, რის შემდეგაც ზუბალაშვილს საქმე სისრულეში უნდა მოეყვანა. საწყალ გლეხების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. დაფაცურდნენ ფულის საშოვნელად: ვინ სახლი გაჰყიდა, ვინ ცხენი, ვინ ხარი, ძროხა, ვერცხლეულობა, და ვისაც ყველა ეს არ ეყო ფულების შესავსებლად, სხვა სოფელში წავიდნენ ფულების სასესხებლად, მაგრამ ვაი მისთანა სესხებას: ფულიანებმა დაინახეს თუ არა გაჭირვებული გლეხები, 40$^0/_0$-ზედ ნაკლებ აღარ ასესხებდნენ ფულს და ბევრიკა 60$^0/_0$-საც იღებდა სარგებელს. ისეთი ფაცა-ფუცი და მიხლა-მოხლა იყო ამ ფულების შოვნისათვის, რომ გეგონებოდათ, მთელი სოფელი აყრილა და სხვაგან გადასახლებას აპირებსო. როგორც იქმნა, შეაგროვეს ფული და დანიშნულებისამებრ წარადგინეს. მხოლოდ რამდენიმე კომლმა ვერ მოასწრო დანიშნულ დრომდე ფულის შეტანა. მაგრამ შეუსრულდათ-კი გლეხებს თავიანთი იმედი? სამწუხაროდ, არა! სულ უბრალო მიზეზის გამო ეს საქმე დღემდისაც შეუსრულებელია. ეხლა, სადაც შეხვდებით ჩვენებურს გლეხს, ყველგან ამას შემოგჩივლებთ: „დავიღუპეთ! თუ რამე გვებადა, გავჰყიდეთ, მამა-სისხლად ვალი ავიღეთ... ნეტავი ან ამოდენა ვალში არ ჩავვარდნილიყავით და ან ჩვენს საქმეს მაინც შველებოდა რამე. ეხლა ან ამოდენა ვალი რით გავისტუმროთ და ან ცოლშვილი რით დავარჩინოთ?“ მართლაც, სახუმრო საქმე ხომ არის: მათგან ნასესხებს ფულს ორს წელიწადში თავზედ მეტი სარგებელი მიაქვს. თუმცა საწყალი გლეხები ცოდვილობენ და სცდილობენ, სადაც ჯერ არს, მართლ-მსაჯულება მოიპოვონ, მაგრამ, ვინ იცის, როდის ეშველებათ? საჭიროა, ვისიც ჯერ არს, დაუყოვნებელი და რიგიანი ყურადღება მიაქციოს მათს არა სანატრელს მდგომარეობას.

თქვენის სიცოცხლით, ფულის შოვნა მაინც ეხერხებოდეთ ჩვენებურებს, რომ ამოდენა ვალი თავიდგან მოიშორონ. მუხურაში ნამუშევრის მოსავალი ძლიერ ნაკლები იცის მიწის უნოყიერობის გამო. სიმინდი და ღვინო თითონ თუ ეყოფათ სარჩოდ. ერთად ერთი საშუალება, რომლითაც ჩვენებურს კაცს შეუძლიან ფული იშოვოს, ხილისა და ხე-ტყის გაყიდვაა, თუმცა მას აქეთ, რაც ამ რამდენინისამე წლის წინად მუხურის მთა დაიწვა, აღარც ხე-ტყე იშოვება რი-

---

დროის ხანას მთის ცხოვრებისას, როდესაც ოთხმოცის წლის «შავ-თვალას», ციკოს დიდი-დედას, მხოლოდ „ახსოვს დრო, როდესაც საქართველო ჯერ არ შეერთებულიყო რუსეთთან“. მაშასადამე, ის დროა, როდესაც მთამ თითქმის სამოცი წელი უკვე დაჰყო ახალს გარემოებათა ზედმოქმედების ქვეშ, ლამის დამარხული და გამოტირებული ჰქონდა თავისი თემობა და იგემა ახალი კულტურა, რომლის წყალობითაც თვით „შავ-თვალა“ კარტოფილს ახსენებს კარტოხსად, და ხალხის ბედს განაგებს არა მთელი საზოგადოება, არამედ თითოეული კაცი, მთავრობის მიერ დანიშნული. თუ მთაში მაინც მოიპოვება ამ დროს ერთობა, ეგ მხოლოდ იმის გამო, რომ ცხვარი უცხო ადგილებში დაუდით და იქ საერთო ძალით, ნაცნობისა, მეგობრისა და ამხანაგის ერთგულებით არის შესაძლებელი თავის გატანა, უამისოდ-კი სათითაოდ მათზე ყველანი მიიტანენ ძალასა და კიდეც გაიმარჯვებენ.

**

მერე რას ვხედავთ ამ დროს! აგერა მოხევეთა სოფელი, სადაც სცხოვრობს თავადი გორჯასპ ლუდუშაური, ამ სოფლის მებატონე, ნადიამბეგარი კაცი, რომელიც ხელმწიფის წყალობით და საკუთარის მოხერხებით ისე გასუქებულა, რომ კისერს ველარ იბრუნებსო, გვეუბნება ავტორი. გორჯასპის პატარა „მიწამ მიიზიდა მეორე მიწა, მეორემ—მესამე და ამ გვარად კარგად და რგვლად შემოიზღუდა მისი სამფლობელო. მამულს მიემატა ყმები და გახურდა მუშაობა“... ასე რომ ბოლოს მთელი მთის ხალხი თითქმის მისი ყურ-მოჭრილი ყმა შეიქმნა და ამ ხალხის „ბედ-იღბალი იმის გალიმებაზედ, თუ წარბ-შეჭმუხვნაზედ იყო დამოკიდებული“. და არც საკვირველია, დიდი კაცი იყო ლუდუშაური, ისეთი დიდი, რომ თვით მისი მოადგილე, მდივანბეგი, კრძალვითა და თრთოლვით ეახლებოდა ხოლმე ლუდუშაურს, რომელიც ჭკუას ასწავლიდა, თუ როგორ უნდა მოჰქცეოდა ხალხს: „მაგათ მათრახი, მათრახი და მათრახი“, რადგან მთის ხალხი ბრიყვიაო.

სოფელს გამოუვიდა ხაზინიდგან შვიდას ორმოც-და-ათ თუმნამდე ურმის ფული ჯარების ბარგის გადატან-გადმოტანისათვის. ახალმა მდივანბეგმა ნახევარი-კი მისცა სოფელს, მაგრამ მეორე ნახევარი თითონ ჩაიჯიბა. სოფელი მთლიანად სთხოვდა. ლუდუშაური ამტყუნებს მდივანბეგს—არც ის ნახევარი უნდა მიგეცა მაგათთვის, სულ შენ უნდა აგეღო და ვერცა-რას გაიტანდნენო. უმაგისოდ ფულს ვერ იშოვნი და ფული ხომ „საპონსა ჰგავსო, ურემი რომ ჭრიჭინს დაიწყებს, საპონს ამოსცხობენ და გაჩუმდებაო. ვაი იმისი ბრალი, ვისაც ღერძის გასაჩუმებელი საპონი ვერ უშოვნიაო“.

ამისთანა ოსტატური მოძღვრება, რასაკვირველია, საპონს აშოვნინებდა შეგირდს-მდივანბეგს, რომელიც თავისის მხრით ყოველ სამსახურისასთვის მზად იყო, ოღონდ-კი ეამებინა ლუდუშაურისთვის. სხვათა შორის, ლუდუშაურს თვალში არ მოსდიოდა, რომ სოფელმა მის ახლოს თავისი სასოფლო საძოვარი მინდორი შემოღობა. მდივანბეგს ქაღალდი მიაწერინა გუბერნატორთან, რომ ეს მინდორი სახელმწიფოაო, სოფელმა დაისაკუთრა და ეხლა ჩაფრებისა და ყაზახების ცხენებს საძოვარი ადგილი აღარა აქვთო. მდივანბეგს მოუვიდა ბრძანება ღობეები ძალით აჰყარეთ და შიგ ცხენები შეუშვითო. სოფელი გაძალიანდა, აიღო თოფ-იარაღი. მოხდა შეტაკება სოფლელთა და ჯარის-კაცთა შორის. ორსავე მხარეს რამდენიმე კაცი მოკვდა. აფრინეს მაშინვე ქაღალდი მთავრობასთან—სოფელი „აბუნტდაო“. დაინიშნა გამოძიება. ოცამდე მოხევე დაიჭირეს და ქალაქში გაგზავნეს. საქმე იმითი გათავდა, რომ რამდენიმე მოხევე ჩამოარჩეს, რათა დანარჩენთ შიში და კრძალვა ჰქონდეთ წინაშე კანონისა, სამართლისა, და აღარ „იბუნტონო“.

ასეთს ტაფაში იწვიან მოხევენი, იმიტომ-რომ მათი გულის პასუხი არავის ესმის. მათი მებატონე იქით გაიყურება, საიდგანაც მოელის წყალობას და ღერძის გასაჩუმებელს საპონს. ამ საპნისა და მდგომარეობის შემწეობით მოხელეებს ისე ათამაშებს, როგორცა ჰსურს. ვის-ღა უნდა მიჰმართოს ხალხმა?—არავის. იგი უპატრონოა და ვისაც რა მოუვა ჭკუაში, დასწამებს. მთავრობამ ვისგან უნდა შეიტყოს სიმართლე?—ყაზბეგისთანა მწერლებისაგან, რომელთა ხმა ყველაზედ ნაკლებ მიაღწევს ხოლმე იმ ადგილს, სადაც ჯერ არს, და სხვა არავისგან.

**

გორჯასპ ლუდუშაურის მიერ გამოწვეულ „ბუნტის“ გამო ჩამოარჩეს, სხვათა შორის, გუგუა ზალიაშვილიც. ეს ის გუგუა გახლავთ, რომელმაც, ყაზახ პავლიას შთაგონებით, სიმთვრალეში გადასწყვიტა უპატრონო ციკოს მოტაცება და კიდეც მოიტაცა. ჩინებული პსიხოლოგიური მომენტი აქვს აღებული ავტორს ამ ციკოსა და გუგუას ურთიერთობის შესახებ და, ჩვენის აზრით, მართლიერადაცა აქვს გამორკვეული, სწორედა აქვს პსიხოლოგიური კვანძი გამოხსნილი. ციკო განთქმული ქალია სილამაზით მთაში. ყმაწვილს ბიჭებს მისი სახელი აკერიათ პირზედ. იმის სილამაზეს ლექსებით ამკობენ. გათამამებული ასეთის ყურადღებით, ციკო ბუზსაც არ ისვამს თავზედ. გუგუასაც გაგონილი აქვს ციკოს სიტურფე, ჰნახავს, შეუვარდება გული და სთხოვს, ჩემი ცოლი გახდიო. ციკო უარს ეუბნება. მოიტაცებს გუგუა ციკოს და წამოიყვანს თავის კოშკში. როდესაც ქალი გონს მოვა, გუგუა დაუწყებს ხვეწნას—შემი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიანად. ესენიც რომ გაჰყიდონ გლეხმა, საჭიროა, ტყიბულის ან ზესტაფონის რკინის გზის სადგურამდე ურმით ან ცხენით მიიტანოს თავისი გასასყიდი და ამიტომ კარგი გზაა საჭირო. რაც შეეხება ტყიბულის გზას, იგი საცალფეხოდაც არ არის ხეირიანი, თორემ დატვირთულის ურმითა და ცხენით ამ გზით ტყიბულში წასვლა დიდად გასაჭირია.

ამ ორის წლის წინად დაბა ჩხარისუბნის ბოქაული ბ-ნ ჟურული მოვიდა ჩვენს სოფელში და შეგვპირდა, ამ შემოდგომაზედ მოვალ, ხალხს გავიწვევ და ტყიბულის გზას გავაკეთებთო, მაგრამ აღთქმა აღთქმად დარჩა და გზის გაკეთებას არა ეშველარა. ნათქვამია წმიდათა მამათაგან: „მრავალი აღთქმანი არ აღსრულდებიან ცოდვათა გამო კაცთასაო“, და შეიძლება ჩვენს სოფლელებსაც ამიტომ ემართებოდეთ აღთქმა და არ აღსრულება. არც ზესტაფონში წასასვლელი გზაა ტყიბულის გზაზედ უკეთესს მდგომარეობაში. ტყიბულში წასასვლელ გზის უქონლობა თითქმის მარტო მუხურელებს აბრკოლებს, ზესტაფონის გზის უქონლობით-კი მთელი ნახევარი შორაპნის მაზრა დიდს გაჭირვებაშია. მთელს იმერეთში განთქმულია ს. საქარას ღრმა ტალახი, რომელიც ზესტაფონში მიმავალ გზაზედ შეგხვდებათ. ხშირად ისეთი ღრმა ტალახებია, რომ მიმავალი კაცი იძულებულია, ხარ-ურემი და ცხენი ტალახში მიატოვოს და თითონ-კი რამე ნაირად საცალფეხო გზა მონახოს, რომ თვით მაინც არ ჩაირჩოს ღრმა ტალახში. თუმცა შარშან დაიწყეს გზატკეცილის კეთება ზესტაფონიდგან, რომელიც დაბა ჩხარამდის უნდა გაეყვანათ, მაგრამ დაწყება და უცბად მიტოვება გზის კეთებისა ერთი იყო. რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ არ შეუძლიანთ ჩხარამდე მაინც გაიყვანონ გზატკეცილი? გაიწვიონ ხალხი გზის საკეთებლად, ოღონდ დაიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელიც გზის უქონლობით მოსდით. იმათთვის საზარალო არ იქნება, გზის გაკეთებას რომ დრო მოანდომონ, რადგანაც ამით მისვლა-მოსვლა ძლიერ გაუადვილდებათ.

მარადანისშვილი

◆◆

რუსეთი

ორს საყურადღებო ცნობას იწერებიან რუსული გაზეთები--ერთს ხარკოვის საგუბერნიო ერობის შესახებ და მეორეს პერმის საგუბერნიო ერობის შესახებ. ხარკოვის გუბერნიის საერობო გამგეობას დაუმზადებია მომავალის საერობო კრებისათვის მოხსენება მიწად-მოქმედების განსაკუთრებულ სამინისტროს დაარსების საჭიროებისა. ეჭვი არ არის, მომავალი საგუბერნიო საერობო კრება მოიწონებს და შეიწყნარებს ამ საყურადღებო მოხსენებას და სხვა ერობებთან ერთად დაიწყებს შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, რომ დაწესდეს ესოდენად საჭირო განსაკუთრებული, ცალკე სამინისტრო მიწად-მოქმედებისა. დიდად სასიამოვნო ამბავია, რომ თვით ხალხის წარმომადგენელს, ერობას შეუგნია ეს საჭიროება, რომლის შესახებაც მთელი წელიწადია ლაპარაკობს საზოგადოება. როგორც გაზეთები იწერებიან, მთავრობასაც უკვე მიუქცევია ყურადღება ამ საგნისათვის, ასე რომ გამოსარკვევი და გადასაწყვეტი მხოლოდ ნივთიერი მხარე-ღა დარჩენილა ამ საქმისა. სასურველია, რომ ეს ფრიად საყურადღებო სახელმწიფო საქმე იმ გარემოებამ არ დააბრკოლოს და არ შეაფერხოს—არის, თუ არა თავისუფალი ფული ამის გასაძღოლადაო. მიწად-მოქმედების სამინისტროს დაარსებას პირველს წელიწადს დასჭირდება არა უმეტეს 10 მილიონის მანათისა, ხოლო შემდეგისთვის შეიძლება ხუთს მილიონზე მეტი სრულიადაც არ დაისაჭიროვოს წელიწადში. ეს ფული-კი საიმისო ბედენა არ არის მილიარდოვანს ბიუჯეტისათვის, რომ იმის გულისათვის დაბრკოლდეს ზემოხსენებულ გვარად საჭირო სამინისტროს დაწესება. რადგან ამ ჟამად მთელის რუსეთის ძალა, ღონე, სიმდიდრე და შეძლება მხოლოდ მიწად-მოქმედებაზეა დამყარებული და აღორძინებული და რადგანაც ამ მიწად-მოქმედების განკარგება მხოლოდ მაშინ შეიძლება რუსეთში, თუ განსაკუთრებული მეთაური და მზრუნველი სამინისტრო ეყოლება, ამიტომ მოსალოდნელია, რომ მთავრობა არაფერს ხარჯს არ დაერიდება და მალე დააწესებს მიწად-მოქმედების სამინისტროს.

მეორე ცნობა შემდეგია. პერმის საგუბერნიო ერობამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ყოველს ხმოსანს უფლება მიენიჭოს საერობო გამგეობათა თავმჯდომარედ ყოფნისა. ასეთი გადაწყვეტილება ერობისა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ახალის საერობო დებულების ძალით თავმჯდომარეობა გამგეობისა მხოლოდ სახელმწიფო სამსახურის უფლება-მინიჭებულს კაცს შეუძლიან და სხვას-კი არა. მაგრამ, რადგან ასეთ უფლება-მინიჭებული კაცები ნაკლებადა ჰყავთ პერმის გუბერნიაში, ამიტომ იძულებული შეიქმნა ერობა ზემოხსენებული შუამდგომლობა დაეწყო მთავრობის წინაშე. ეჭვი არ არის, ამ გაჭირვებაში იქნება ჩავარდნილი ბევრი სხვა ერობაც. ამიტომ მოსალოდნელია, მთავრობა აუსრულებს თხოვნას პერმის ერობას, მით უმეტეს, რომ ასეთი ნება-რთვა მთავრობისა წინააღმდეგი არ არის აწინდელის საერობო დებულებისა. ესეც რომ არ იყოს, არც სხვაფრივ არის კარგი არჩევანების მეტის-მეტი განსაზღვრა და შეზღუდვა. ზოგიერთი რამ რომ რიგიანად ვერ შეასრულოს და ვერ გააკეთოს ერობამ, თავს იმითი გაიმართლებს, რა ვუყოთ, ბარემ გავაკეთებდით, მაგრამ ჩვენი რა ბრალია, რომ არჩევანები ძლიერ განსაზღვრული გვაქვს და ისეთი კაცები ვერ ავირჩიეთ საქმის მეთაურებად, როგორიც ჩვენა გვწადდაო. ამასთანავე ისიც მხედველობაში მისაღები გარემოებაა, რომ ერობის მიერ არჩეული თავმჯდომარე გამგეობისა უთუოდ ადმინისტრაციამ უნდა დაამტკიცოს ხოლმე.

◆◆

უცხოეთი

ინგლისი. იქით კვირია ინგლისის ქვედა პალატაში კამათი გაიმართა იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელსაც აზრადა აქვს წვრილ მემამულეების გამრავლება. ყველა ორატორი თითქმის მომხრე იყო ამ კანონ-პროექტისა, რათა მიწად-მომქმედსა და ქალაქის მუშა ხალხს შეძლება მიეცეს შეიძინოს პატარ-პატარა მამულიო. საკამათოდ მხოლოდ ის საგანი გაუხდათ, დავავალოთ თუ არა დიდის მამულების პატრონებს თავისის მამულები გაყიდვა, თუ მათს ნება-ყოფლობაზედ დავტოვოთ საქმე და შუამავლობა საგრაფოს საბჭოებს მივანდოთო. მთავრობა მომხრე იყო ამ უკანასკნელის აზრისა, მაგრამ ბევრმა ილაპარაკა ამის წინააღმდეგ,—თუ სავალდებულოდ არ გავხადეთ, ისე ძნელი მოსახერხებელი იქნება ეს საქმეო.

12 მარტს დაიწყეს მეორედ კითხვა ხსენებულის კანონ-პროექტისა. გაიმართა კამათი, რომლის დროსაც უფრო საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა გლადსტონმა, ორატორმაც ამ კანონ-პროექტს უწოდა „პატიოსანი ცდა მართალის მიმართულებისა“, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, რომ რამდენიმე მუხლი ამ კანონ-პროექტისა შესწორებას ჰსაჭიროებსო. გლადსტონს საჭიროდ მიაჩნდა, რომ სავალდებულოდ გახდეს მუშების მიერ მამულების გამოსყიდვა დიდ მემამულეთაგან და ამ კანონის განხორციელებაც მიენდოს სამრევლო საბჭოებს და არა უფრო მაღალს დაწესებულებას—საგრაფო საბჭოებს. გლადსტონისავე აზრით, საჭიროა, სამრევლო საბჭოებმა იჯარით მისცენ ხოლმე მიწა უმამულო გლეხებს, რადგან ზოგს მათგანს შემუშავება შეუძლიან და შესყიდვა-კი არაო.

ქვედა პალატამ ამ მეორედ წაკითხვის დროს შეიწყნარა კანონ-პროექტი და დიდის ტაშის ცემითაც მიეგება მისს შეწყნარებას.

◆◆

წვრილი ამბავი

თავის დროზედ გერმანელმა ექიმმა პფეიფერმა განაცხადა, რომ ინფლუენცას მიკრობი ვიპოვნე, რომელიც ძალიან პაწია და წვრილია, ყველა აწ ცნობილ ბაცილა-მიკრობზედ პატარაო. საფრანგეთის ბაქტერიოლოგებმა კორნილმა და შანტემესსმა განაგრძეს პფეიფერის მიერ დაწყებული საქმე და ამას წინად პარიჟის სამკურნალო აკადემიას უამბეს ყოველივე თავის მიერ გამონაკვლევი. კორნილს და შანტემესს ერთის ინფლუენცათი ავადმყოფისათვის თითზედ ნემსი უჩხვლეტიათ, ერთი წვეთი სისხლი აურთმევიათ და თეთრის ყურდღლისთვის შეუშხაპუნებიათ ყურის ბიბილოში. რამდენსამე წამს შემდეგ, ცხოველს 40 გრადუსამდე სიცხე დაჰმართებია. კურდღელი უძრავად იყო თურმე და არაფერსა სჭამდა. როდესაც კურდღლის სისხლი გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ სისხლში დიდ-ძალი ინფლუენცას ბაცილა იყო. ეს ბაცილა „8“ ძალიანა ჰგავს თურმე. როდესაც ეს ბაცილები სხვა კურდღლებს შეუშხაპუნეს, იმათაც დაემართათ თურმე ინფლუენცა. შანტემესსმა მაიმუნზედაც სცადა და იმასაც ესევე სენი დაეწყო. მაიმუნი მორჩა, მაგრამ იმის სისხლში ინფლუენცას ბაცილები დიდხანს კიდევ არ გამოლეულა. ასე ემართება ადამიანისშვილთაცაო. ამ გვარად, ამ ორის ექიმის გამოკვლევამ აშკარად დაამტკიცა, რომ ინფლუენცას ბაცილა მართლაც ყოფილა და ინფლუენცაც ისე ედება ადამიანს, როგორც ჭლექი და სხვა ბაცილებიანი სენი.

— ცნობილმა ამერიკელმა მილიონების პატრონმა ჯონ როკფელერმა, რომელიც ამას წინად განიკურნა მძიმე სნეულებისაგან, ჩიკაგოს ბაპტისტთა უნივერსიტეტს 2.000,000 მან. აჩუქა ნიშნად ღვთის განსაკუთრებულის მადლობისა ავადმყოფობისაგან გადარჩენისათვის“. ეს პირველი მაგალითი არ არის, რომ როკფელერს საქველ-მოქმედოდ ფული გამოემეტებინოს. წარსულს წელსაც ამ კაცმა უნივერსიტეტს 3.200,000 მან. შესწირა.

— წარსულს შაბათს კიევში შემდეგი უბედურება დატრიალდა: არტილერიის ერთს ჯარის-კაცს სიცოცხლე მოჰბეზრდა და რევოლვერი დაიკრა. ტყვიამ ამ ჯარის-

---

ყვარე, უარს ნუ მეუბნებიო. ქალი ზედაც არ უყურებს. ბოლოს ციკოს უნდა როგორმე თავიდგან მოიშოროს და ეუბნება—დამაცა, შემდეგ მოგცემ მაგის პასუხსაო. გუგუა მაშინვე ჰნებდება და გადის სახლიდგან. მიმავალი ერთი კიდევ შეჰხედავს ციკოს. სწორედ ამ დროს ციკო მოჰკრავს თვალს გუგუას გამომეტყველებას და უცებ სრულებით სხვა ნაირად გადუტრიალდება გუნება. ჰხედავს, რომ გუგუა კაი ვაჟკაცური სანახავიცა ყოფილა, ეშხიანიც, მოსაწონიც და ამასთანავე პატიოსანიც, რომ ქალი მის ხელშია და მაინც ისეთი ნამუსიანია, რომ ძალ-მომრეობას არ მიჰმართავს,—თანაც ის მიმხიდავი ცეცხლი, რომელიც გამოითქმოდა გუგუას თვალებიდგან, როდესაც გასვლისას შეჰხედა ციკოს, ყოველივე ეს უცებ შესცვლის ციკოს გულს და იგი, წინააღმდეგ „შავ-თვალას“ მრისხანე უარისა, შეიყვარებს და გადასწყვეტს მისთხოვდეს ამ ახალგაზდას. მაგრამ, როგორც მკითხველმა იცის, ამ შეყვარებულთათვის უბედურების მეტი არა ჰქონდა-რა დამზადებული ცხოვრების უკუღმართობას...

**

როგორც „ელგუჯასა“ და „ციკოში“ ავტორი გვიხატავს ხალხის მდგომარეობას და კერძო ადამიანთა ურთიერთობა და თვით სიყვარულის ამბავიც მხოლოდ ეპიზოდურად არის შეტანილი, აგრეთვეა აშენებული მოთხრობა „ელისოც“. ამ მოთხრობას რამდენადაც „ელისო“ ჰქვიან, იმდენადვე შესაძლო იყო დაგვერქმია სახელი ანზორისა, ვაჟიასი და იმ მშობიარე მანდილოსნებისა, რომელნიც მათთან ერთად იტანჯებიან გზაში და სულსა ჰლევენ უპატრონობისა გამო. ამით ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ აქაც ჰმოქმედებს გამოუთქმელი ტანჯვა მთელის სოფლისა და აქედგან მთელის ხალხისა, რომელიც ძალა-უნებურად ანებებს თავს საყვარელს სამშობლოს. სოფელმა სამშობლოსთვის მედგრად გასწირა თავისნი უკეთესნი შვილნი და ეხლა მიდის სტამბოლს, იმ ქვეყანას, რომელიც თვალითაც არ უნახავს. აი რა სიტყვებით ელაპარაკება ყოფილი ნაიბი შამილისა, მოხუცი ჩაჩანი ანზორ თავის ქალს, ელისოს:

> მე მყავდა ჩემი ჯოგი და მთელს ჩემის მინდორზედ დამიდიოდა უშამრად,—მოვიდნენ გიაურები და წამართვეს... მე მყავდა ჩემი ცხორი, და ჩემს სახლს წინ სტუმარს არ გაუვლია, რომ არ მომეპატიჟნა, საკლავი არ დამეკლა,—გიაურები დამეცნენ და წამართვეს... მე მქონდა სახლი და ის თავ-შესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა,—მოვიდნენ გიაურები და დამიწვეს... ყველა ეს ქართველებისაგან მოჰხდა, ისინი მოუძღვებოდნენ ბელადად გიაურებს, ისინი უჩვენებდნენ გზას, ისინი გვეღობებოდნენ!.. შემრჩა სამი ვაჟი, შენ და ჩემი იარაღი. მე გავიქეცი მთებში, იქიდგან მინდოდა გადამეხადა ამ უსამართლობისათვის, მაგრამ, რა ღმერთი კაცზედ ერთხელ ხელს აიღებს, ტყუილი-ღაა იმისა ცდა!... აქაც გიაურები ქრისტიანების შემწეობით მოვიდნენ და სამივე შვილი რიგ-რიგად თვალ-წინ დამიხოცეს... მაღალო ღმერთო! რა დღე იყო ის დღე!... მე როგორ-ღა გადავრჩი იმის მნახველი!... ერთი ესღა მქონდა სანუგეშო, რომ ვაჟკაცნი ვაჟკაცად დაიხოცნენ: სამთავ მკერდი ჰქონდათ გახვრეტილი—ჩემს შვილებს ზურგი არ ეჩვენებინათ მტრისთვის... („ელისო“, გვ. 354—355).

ყოველ ამ უბედურებას ანზორისა და სხვებისას დაერთო ზედ ისიც, რომ ბოლოს სამშობლოსათვისაც უნდა დაენებებინათ თავი, გადასახლებულიყვნენ. ვისაც ჩვენის მთისთვის ცოტათი მაინც თვალ-ყური უდევნებია, ეცოდინება, როგორი საზარელი და უდგილო მიმართულება იყო მთის ხალხის განდევნა-გადასახლება სათათრეთში. ხშირად წელიწადში შვიდი-რვა ათასი სული იგზავნებოდა მთებიდგან. ეგონათ, ყველა გამოიყენებდა მთას, ყველა დაიმორჩილებდა მის ბუნებას და გაბატონდებოდა, მაგრამ მთამ შეუჩვეველი არავინ მიიკარა ახლოს. ერთი პატარა ერი—უბიხები, რომელთაც კოპწია პატარძლივით მორთული და მოვლილი ჰქონდათ თავიანთი მიუდგომელი მთა, სრულიად გადასახლებულ იქმნა, ერთი ადამიანიც მათი წარმომადგენელი აღარ დარჩენილა წამლად მაინც და დღეს მათი სადგური გახრიოკებულ ტრალს არე-მარეს წარმოგვიდგენთ—ვერავინ გამოიყენა იგი. ნიმუში საზარელის გადასახლებისა აწერილია ამ პატარა მოთხრობაში, რომელიც თავიდამ ბოლომდე ერთი ზარ-დამცემი და მართალი იერემიადაა. მაგრამ, როგორც ნიჭიერი ბელეტრისტი, ყაზბეგი ამ ამბავს აფერადებს ვაჟიასა და ელისოს სიყვარულით. მაჰმადის რჯულის ქალს ელისოსა და ქრისტიანს ვაჟიას, მოხევეს, უყვართ ერთმანეთი. მამა ანზორ წინააღმდეგია ამ სიყვარულისა. ელისოს უყვარს თავისი მოხუცი მამაც და მისდევს სტამბოლს. გზაში შეხვდებათ ვაჟია. აქ ავტორის მიერ საოცარის ხელოვნებითაა დახატული ბრძოლა ორის გრძნობისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ასტყდება ელისოს გულში—მამის სიყვარული დასთმობს, თუ ვაჟიასი? ბოლოს უკანასკნელის სიყვარული დასძლევს. მაგრამ აქაც ვაი მათს სიყვარულს...

ამ სახით ჩვენ პირველს წიგნში სრულებით ვერა ვნახეთ მსგავსება ერთის მოთხრობისა მეორესთან, ან მეორისა მესამესთან. მართალი-კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ერთში ისინი ძლიერა ჰგვანან ერთმანეთს და ეს ერთად-ერთი მგზავსებაც ის არის, რომ სამივე დიდის ნიჭით არის დაწერილი და ეტყობათ, რომ ერთსა და იმავე ხელს, დიდს მოყვარეს თავისუფლებისას, დაუწერია სამივე. მეტი მგზავსება ჩვენ ვერა ვპოვეთ.

სტ. ქრელაშვილი

კაცის გულ-ღვიძლს გაატანა, ზურგში გაჰვარდა, ეცა მეორე ჯარის-კაცს, ისიც მოკლა, იქიდგანაც გამოვარდა და მესამეს ჩაერჭო მკლავში. ამ გვარად, ერთმა ტყვიამ ორი კაცი მოკლა და, უეჭველია, მესამესაც ისეთივე დღე დაადგება.

* * *

დეპეშა

21 მარტი

პეტერბურგი. „Биржевыя Вѣдомости“ იუწყება: გერმანიის წინადადება იმის შესახებ, რომ განწესიერებულ იქმნას სავაჭრო ურთიერთობა რუსეთისა და გერმანიისა, განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა და უარი არა სთქვა ამ საგანზედაო.

ბერლინი. როდესაც აქ დაბრუნდა, გრაფს შუვალოვს თავისს კაბინეთში დაჰხვდა პროფესორის კონერის მიერ ხელით ნახატი სურათი იმპერატორ ვილჰელმისა. იმპერატორი დახატულია სრულის ტანით იმპერატორ ალექსანდრეს საგვარდიო გრენადერთა პოლკის მუნდირით.

კოპენჰაგენი. ფილადელფიის მცხოვრებთა მიერ გამოგზავნილმა გემმა «Missovri»-მ, რომელიც დატვირთულია დამშეულ რუსთა სასარგებლოდ შეწირულის ფქვილით, დღეს გაიარა ჰირტსგალსის მახლობლად.

22 მარტი

პეტერბურგი. უკანასკნელ ორის კრებისდროს განსაკუთრებულმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მისცეს გუბერნიის უფროსებს შემწეობა ცხენების შესანახავად: კურსკისას 100,000 მ., ხერსონისას 60,000 მ., კოსტრომისას 40,000 მან., სიმბირსკისასა და სარატოვისას თითოს 50,000 მანათი. გადასწყვიტეს აგრეთვე, რომ რიაზანის გუბერნიისათვის შეიძინონ 1,000 ცხენი და ფულით დამატებითი დახმარება აღმოუჩინონ: ტულის გუბერნიას 75,000 მან., ტამბოვისას 91,000 მან., სარატოვისას 15,000 მ., ურალისას 10,000 მან., ვორონეჟისას 80,000 მან. და ასტრახანის ჯარის ატამანს 15,000 მან. ორენბურგის საგუბერნიო საბჭოს გაჭირვებულ სამღვდელოების დასახმარებლად მიეცემა 15,000 მ., ვორონეჟის კომიტეტს 50,000 ფუთი პური.

18—20 მარტს განსაკუთრებულს კომიტეტს მიუვიდა შეწირულება 65,000 მანათი. ამათში 20,000 მანათი ეკატერინე სიმონის ასულმა კუზნეცოვისამ შესწირა, 13,500 მანეთზედ მეტი ფინანსთა სამინისტროს სხვა-და-სხვა დაწესებულებამა და მოხელეებმა, სერბიის მცხოვრებლებმა 12,000 მანათამდე და პეტერბურგის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ 10,000 მან.

„Петерб. Вѣд.“-ი ამბობს, რომ სახელმწიფო საბჭოში წარდგენილ იქმნა პროექტი სახელმწიფოს საიდუმლოების გამოქვეყნების დასჯისაო.

იგივე გაზეთი იუწყება: ბჭობა მოხდა პურით ვაჭრობის განკარგების შესახებ და გადასწყვიტეს, მხოლოდ ისეთი პური მივიღოთ საზღვარ-გარედ გასაგზავნად, რომელსაც კანონიერზედ მეტი არ ექნება სხვა ხორბლეულობა ნარევიო.

ცარიცინი. ვოლგამ ყინული აიყარა, სითბო 3°-ია.

ბერლინი. გუშინდელს ბირჟას ცხადად შეეტყო სურვილი მომატებისა, რადგანაც იმპერატორი ვილჰელმი ყურადღებით მოეპყრო გრაფს შუვალოვს. გრაფი და გრაფინია შუვალოვები მიწვეულნი არიან იმპერატორის საოჯახო სადილზედ.

პარიჟი. რავაშოლმა სთქვა, ლობაუს ყაზარმაში აფეთქება ანარხისტებმა: მატიემა და ლებასტარმა მოახდინესო. ამ გვარის გამოტეხის გამო მოსალოდნელია, რომ რამდენსამე დაპატიმრებულს ანარხისტს განათავისუფლებენ.

ბუენოს-ჰაირესი. რამდენიმე შეთქმული დააპატიმრეს და მათ-შორის სენატორი ალლენიც. ამბობენ, რადიკალთა დასი და შეურგებელთა დასი, რომლის მეთაურადაც ალლენია, დღეს აპირობდა აფეთქების მოხდენას სხვა-და-სხვა ადგილასაო. დაპატიმრებულს ანარხისტებს ბრალი ედებათ სახელმწიფოს ღალატისა. ხალხი მშვიდად არის. ჯარი და ფლოტი ერთგულობენ მთავრობას.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,86	7,88	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	157	157½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	1,15	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	237
—მეორისა	— ,,	— ,,	218½
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	198	199
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკს. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

განცხადებანი

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—1)

შველვან!!!

საპონი ოლეო-ვაზელინი

როიალ-კონგო!

ახალი ამბავი!!!

სურნელოვანი წყლები

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინასი“

ე. ბოდლო და ამხ.

მოსკოვში.

(10—4)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—31)

ი. ალოიზი და ამხ.

ბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეუნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად (16—11)

ი. ალოიზი

სატუალეტო საშუალება დედათათვის

იხმარება კანისა, სახისა და ხელების დასაბანად.

БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ
Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.

წესი ხმარებისა: ამ ბალზამის შემზადების დროს უმთავრესი ყურადღება იმასა აქვს მიქცეული, რომ ისეთი მასალა არა ერიოს-რა შიგ, რაც კანს ახდენს და აფუჭებს. ფასი: შუშა ჰღირს 1 მ. 65 კ. **ბენზოს საპონი** 35 კ. და 50 კ. ნაჭერი და **ოპო პომადა** (კოლდ-კრემს სჯობია) 1 მ. შეხვევა და გაგზავნა ევროპის რუსეთში 70 კ., აზიის რუსეთში—1 მ. უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება **ვ. აურიხთან**, ს.-პეტერბურგს, კოლოკოლ., 18—19. შეიძლება ყიდვა ყოველს საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში და რუსეთის ზოგიერთს აფთიაქში. (7—5)

გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილის** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.